№ 131, ორშაბათი, 3 მარტი. 1896—1897 ორშაბათი, 3 მარტი, № 131.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

რედაქციისაგან

ახალი ხელის-მომწერთა საყურადღებოდ

1-ლ მარტიდან წლის ბოლომდე გაზ. „ცნობის ფურცელი“ ახალ ხელის-მომწერთათვის ღირს **5 მან.** და მასთან „საქართველოს კალენდარიც“ მუქთად გაეგზავნებათ.

იანვრის ნომრები 73-იდან 87-მდე რედაქციაში აღარ მოიპოვება.

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება

აზოვის ზღვაოსნობისა

ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო გამოშვებით მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**

ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.

ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით.
ბათომში მოდის—ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
ფოთიდან გადის—სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ოდესაში მოდის—კვირაობით და სამშაბათობით.

გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.

ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:

ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რივკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.

ВЫСОЧ. УТВЕР. О-ово АЗОВСК. ПАРОХОДСТВА

Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.

Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—**А.** Д. Гугущвили.
(50—3)

მოცვანილია გასასყიდად

ჰაჯი ისმაილ-ოღლის ბაღიდგან

სოფ. ბელაქანში

ხეხილები
(1, 2 და 3 წლის ნამყენი)

ისყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ბარიატინსკის ქუჩა). (3—6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ქქ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პრიტასავიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პრიტასავიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. პუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ზ თოფურია.**

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**შ. ქ. გერატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოზანი.**

თვალების ავადმყოფობას—**ი. ქ. ვარშავსკი.**

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი **ს.ზ. თოფურია.**
(წ.)

ვექილი
გ. ბ. გვაზავა

გაისრულობ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეების წარმოებას.

(გოლოვინის პროსპექტი, მუხრან-ბატონის სახლი, № 6).

დილით 9—10, საღამოს 5—7 საათ.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, Головинскій, д. Мухранскаго, Г. Б. Гвазава.* (30—28)

მოთხრობა
„თავადის ქალის“
გამომცემლისაგან:

უმორჩილესად ვსთხოვ ტფილისს გარედ ქართულ წიგნების გამსყიდველთ: ვისაც ზემო აღნიშნულ წიგნის ანგარიში ჯერ არ შეუტყობინებია ჩემთვის, რაც შეიძლება, მალე გამომიგზავნოს იგი ანგარიში.
(4—2).

გუშინდელი დეპეშა

1 მარტი.

ბერლინი. კრიტისათვის განზრახულ თვით მმართველობისა გამო გაზეთებს მოჰყავს „Temps“-ში დაბეჭდილი გრძელის წერილის შინაარსი, რომელშიაც ნათქვამია: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ ერთხელაც, სახელდობრ 1869 წელს, კრიტმა ევროპის შეცადინეობით კინაღამ მოიპოვა თვით მმართველობა. როგორც „Temps“-ი სწერს ეხლა შეერთებულის შტატების მაშინდელი კონსული სტილმანი, რომელიც შესამჩნევს მონაწილეობას იღებდა 1869 წელს თვით საბერძნეთმა, რომელიც პატივ-მოყვარეობით ხელმძღვანელობდა, ხელი შეუშალა საქმის ასე კეთილად დაბოლოვებას და კრიტი კიდევ 28 წელს ოსმალეთის ბატონობის ქვეშ დასტოვაო“.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. კერზონმა აცნობა პალატას, რომ ინგლისის მთავრობამ მადლობა შეუთვალა რუსეთის მთავრობას, რომელმაც ინდოეთს შიმშილის შესამსუბუქებლად დახმარება აღმოუჩინა. ჯერ არავითარი ცნობა არ არის მიღებული იმის შესახებ, რამდენი ფული და პური გაუგზავნია რუსეთს ინდოეთში.

კონსტანტინეპოლი. შეერთებულ ესკადრათა რაზმმა იძულებულ ჰყო მეამბოხენი კანდანისთვის შემორტყმული ალყა აეხსნათ და გაანთავისუფლა 200 ჯარის კაცი და 1,500 კაცი, ქალი და ბავშვი; ეხლა ესკადრები სცდილობენ დანარჩენი ალყა შემორტყმულ ციხე-სიმაგრეებიც განთავისუფლონ. პერაპეტრასთან იტალიის სამხედრო გემმა ყუმბარები დაუშინა მეამბოხეთ და იმათი მეთაური კორაკი იძულებულ ჰყო ალყა შემოეხსნა და უკან დაეწია.

კონსტანტინეპოლი. ჯარის იჯარადრები, რომელთაც დიდი ფული ერგებოდათ, სულთანის საკუთარ თანხიდგან იქმნენ დაკმაყოფილებულნი. გზების სიცუდისა, ცუდის ამინდებისა და დიდის თოვლისა გამო ძლიერ ძნელია სურსათის მიწოდება საზღვარზედ მყოფ ჯარისთვის. რკინის გზათა შემაერთებელ ლიანდაგებზედ ჯარის გადაყვანა კვლავ ბრკოლდება.

ბონნი. მემკვიდრე ცესარევიჩი აქ მობძანდა და რამდენსამე დღეს აპირებს დარჩენას.

რომი. ოფიციალურ წერილით მტკიცდება, რომ იტალიის ჯავშნიანი გემი იძულებულ იქმნა ზარბაზნები დაეცალა, რომ ბოლო მოეღო თავს-დასხმისათვის გივსაპეტრაზედ, რომელსაც მფარველობენ დიდნი სახელმწიფონი. თავს-დამსხმელნი მეამბოხენი არიან, რომელთაც საბერძნეთის აფიცრები მეთაურობენ, თუმცა უცხოელ გემების უფროსების მიერ სასტიკად ჰქონდათ აკრძალული.

ლვოვი. რეიხსტაგის წევრთა არჩევნების დროს ერთი სოციალ-დემოკრატი იქმნა არჩეული; განმეორებულ კენჭის ყრის დროს ბორშკოვში არჩეულ იქმნა ერთი რუსი; საერთოდ, გალიციის ერთს ნაწილში არჩეულ იქმნენ: სამი კონდიდატი პოლონიის მთავარ კომიტეტისაგან, ერთი მომხრე სტოიალოვსკისა, ერთი წევრი პოლონელთა საერო დასისა, ორი რუსი და ერთი სოციალ-დემოკრატი.

სოფია. საერო კრებამ დაამტკიცა ხელშეკრულობა ბოლგარიის მთავრობისა უცხოელ ბანკებთან, რომელთაგან მთავრობამ უნდა ისესხოს 30,000,000 ლევი.

ბლუმფონტეინი. კრიუგერის პატივსაცემლად გამართულ საუზმეზედ ორონჟეს რესპუბლიკის პრეზიდენტმა კრიუგერის შესახებ სთქვა, მთელს აფრიკაში ყველაზედ მოხერხებული სახელმწიფოთა მოღვაწე არისო და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ორთავე რესპუბლიკის შეერთების შესახებ.

პეტერბურგი. მეორე სესხის დღევანდელს ტირაჟში უმთავრესნი მოგებანი ხვდა შემდეგ ბილეთებს:

№ სერიისა.	№ ბილეთისა	მოგება.	№ სერიისა	№ ბილეთისა	მოგება.
4782	6	200000	6859	5	ათას მანეთიანები.
19769	45	75000	18103	17	
18012	11	40000	60157	17	
5830	21	25000	19427	4	
11178	41	10000	19176	2	
4864	35	10000	10771	48	
2450	20	10000	9993	32	
13825	4	8000	2642	44	
12181	30	8000	9398	45	
5990	49	8000	11208	15	
10797	34	8000	504	21	
6280	9	8000	2735	16	
16342	39	5000	71533	6	
15959	29	5000	6439	29	
19019	45	5000	1818	29	
10217	9	5000	3780	17	
15	15	5000	12715	3	
19646	17	5000	6640	3	
10003	38	5000	8235	3	
7964	1	5000	5585	49	

ახალი ამბავი

*** **ჟურნალ „ჯეჯილის“ უკიდურესი მდგომარეობა.** წყალ წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ეს ძველი თქმულება უმართლდება დღეს დიდად პატივცემულს ქალბატონს ანასტასია თუმანიშვილ—წერეთლისას. ვერ მოახერხა „ჯეჯილის“ გაძღოლა, მიიყვანა სიკვდილის პირამდე და, ახლა ღია წერილს სწერს მოსკოვის სტუდენტებს და იმათგან ელის ხსნას *). მოსკოვის ახალგაზდობას, ვითარცა გულ მართალს და ჩვენი სვე ბედის გულ-შემატკივარს, შეინიშნავს რედაქტორისთვის, რომ „ჯეჯილს“ უნიჭობის დაღი აჯდა მუდამ ჟამს და მეტადრე გასულ 1896 წელსაო. არ

---

*) იხილე „კვალი“ № 10.

გაიგონებთ, ამ სამართლიან და გულწრფელ საყვედურზედ რა პასუხს აძლევს დიდად პატივცემული ანასტასია თუმან.—წერეთლისა! „ჯეჯილის“ უფერულობა იმას უნდა მივაწეროთო, რომ ერთი ნომრის მასალა ორად განაწილდაო“. სანძლარას ვსდებთ, თუ გვიპოვნის ვინმე სხვა ასეთს ახირებულს მსჯელობას არა თუ ჩვენს, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში. მაშ, ქალბატონო რედაქტორო, „ვეფხვის ტყაოსანი“ რომ ორ ნომერში დაიბეჭდოს, უფერული და უნიჭო შექმნება ამიტომ?

არა გვჯერა, რომ ან მოსკოვის სტუდენტებმა, ან სხვა ვისმემ დაიხსნას სიკვდილისაგან ის, რაც თავითვე, თვის არსებაში ატარებს გახრწნილობის თესლს. ეს თესლი არის ცალის მხრივ უნიჭობა და მეორეს მხრივ მოუმზადებლობა იმ საქმეში, რომელსაც ხელს ჰკიდებს კაცი, მეტადრე თუ ისინიც შემოიფანტა, რომელნიც შველოდნენ მას ცოდნით და უანგარობით. სამწუხაროა გასაგონად ყოველის ჭეშმარიტის ქართველისათვის ეს თვალ-ცრემლიანი სიტყვები ქ-ნ რედაქტორისა: „უნდა მოგახსენოთ, ხელის მომწერნი ისე მცირენი არიან (მცირე წლოვანი თუ?!) რომ ჟურნალის არსებობა განსაცდელშია“. სამწუხაროა ასეთი ბოლო, მაგრამ მოულოდნელი კი არ არის. ჩვენ არ შეგვიძლიან გულწფელი რჩევა არ მივსცეთ: ნუ მოჰკლავთ ჟურნალს, გარდაეცით სხვას; იქნება სხვამ შესძლოს გაძღოლა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რა ძნელია ხოლმე ახალ გამოცემის დაარსება, უნდა აღვიაროთ, რომ ყოველი ქართველი გამომცემელი ყპად-ასაღები და ჩასაქვავებელი იქნება, უკეთუ გამოცემას მოჰკლავს და სხვას-კი არ გადასცემს.

აი, აქ ნათლად იჩენს ხოლმე თავს დაფარული და ღრმად გულში დამარხული ეგოისტური სულის კვეთება და სამსახური თავისის პიროვნებისადმი და არა ქვეყნისადმი. ამის მაგალითებიც ბევრია: „მოამბე“ ყოველ დღიური გაზეთი „თეატრი“ საყოველკვირაო გაზეთი, „ნობათი“ საყმაწვილო ჟურნალი, „იმედი“ თვიური ჟურნალი და კიდევ ვინ მოსთვლის რავდენი!

კაცს, მეტადრე ვინც საზოგადო ასპარეზზე გამოსულა, შრომის და მეცადინეობის ხალისის გარდა მოქალაქობრივი გრძნობაც უნდა ჰქონდეს, მაშინ არც არა დაიღუპება-რა და ქვეყანაც სარგებლობას იგემებს.

⁂ **ახალგაზდა მომღერალი ევლახიშვილი** ამ ჟამად იტალიის ქალაქის ფოსსანოს თეატრის ოპერაში მღერის და წარჩინებული მომღერლის სახელიც მოუხვეჭნია. ევლახიშვილი მღერის „ბრიუნეტტის“ გვარით (Brunetti) და იქაურ გაზეთებში სწერენ, რომ საზოგადოებას და ოპერის ორკესტრს დიდი პატივი უციათ ახალგაზდა მომღერალისათვის და დაფნის გვირგვინი მიურთმევიათ.

⁂ **შავი ჭირის მოახლოვება.** რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებში სწერენ, რომ შავი ჭირი ბომბეიდან ნელ-ნელა გადასულა ბელუჯისტანის და ავღანისტანის საზღვრებზე.

სტაროსელსკის მკვლელობის საქმე დღე-დღეზე უფრო საყურადღებო ხდება. ძნელად წარმოიდგენს კაცი, რომ ისეთს უწესოებას ჰქონიყოს ადგილი სადმე, როგორც ბაქოში სხვა-და-სხვა საეჭვო პირთა ბუნაგს. სხვათა შორის, საყურადღებოა პოლიციის ორის ბოქაულის ჩვენება: ნასირბეგოვისა და კრეისნერისა. ამათის სიტყვით, ადგილობრივი პოლიცია უღონო იყო ზოგიერთ მავნე და ბოროტ პირთა ასალაგმავად. ხმას ვერავინ სცემდა, რადგან გვეშინოდა, რომ წუთი სოფელს არ გამოვესალმოთო. ბაქოში ამ თავზე ხელ-აღებულ პირებს თავისუფალი კანტორებიც-კი ჰქონიათ, სადაც სხვა-და-სხვა „საქმეებს“ არიგებდნენ. პოლიციამ-კი, თურმე, ეგ ყოველივე იცოდა და ხმას არ იღებდა! სწორედ სასაცილოა, სამწუხაროც რომ არ იყოს!..

⁂ **სომხეთა კათოლიკოსის მკრტიჩის ჩამოსვლა ტფილისს.** როგორც ამბობენ, მისი მეუფება სომხეთა პატრიარქი ჩამოვა ტფილისში ამ თვის შუა რიცხვებში. ჩამოსვლის მიზეზად ასახელებენ სხვა-და-სხვა თხოვნებს უმაღლესს მთავრობასთან და აგრეთვე ახალის მთავარ-მართებლის პირადად ნახვას.

⁂ **ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა წლიური კრება** გადაიდო, საკმაო წევრთა დაუსწრებლობის გამო, კვირას, 25 მარტისათვის.

⁂ **ამიერ-კავკასიის რკინის გზის ახალი წესი**, როგორც ისმის, შემოღებულ იქნება მაისის პირველიდგან. სხვათა შორის, როგორც ამას წინად იყო მოხსენებული ჩვენს გაზეთში, მგზავრთა მატარებლები თითქმის ერთი-ორად მეტს მანძილს გაივლიან, ესე იგი, საათში 50 ვერსს. ეჭვი არ არის, რომ ესეთი სწრაფი მიმოსვლა მატარებელთა ბევრს შეღავათს მისცემს მცხოვრებთ და განსაკუთრებით ვაჭრებს; მაგალითად, აქამდინ ტფილისიდან ბათომამდე მატარებელი ანდომებდა თითქმის 12 საათზე მეტს, ეხლა იმავე მანძილს გაივლის შვიდი საათის განმავლობაში და იქნება ისედაც მოხერხდეს, რომ მგზავრი დილით წავიდეს ბათომში და ღამით ისევ ტფილისში ჩამოვიდეს.

⁂ **ახალი მიმოსვლა მატარებელთა ტფილისსა და გორს შუა.** პირველსავე მაისიდგან, თურმე, რკინის გზის მმართველობა აპირებს დააწესოს ტფილისსა და გორს შუა ჩვეულებრივ მატარებელთა მიმოსვლის გარდა კიდევ ერთი მგზავრთა მატარებელი.

⁂ **ტფილისის საოლქო სასამართლოს განყოფილება გორში** გაემგზავრა გუშინ, 2 მარტს სხვა-და-სხვა სისხლის სამართლის საქმეთა გასარჩევად, რომელთა რიცხვი 62-ა. სასამართლოს განყოფილება გორში დარჩება ამ თვის დამლევამდე. განყოფილება შესდგება შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე ი. ო. პარჩევსკი, წევრი ა. ვ. პადალკო, პროკურორი ნ. ა. ტარსაიძე და მდივანი ტერ-შმოვანოვი:

⁂ **ახალი დანიშნულება.** როგორც ამბობენ, ბორჩალოს მაზრის მომრიგებელ-შუამავლად დანიშნული იქმნება პოდპოლკოვნიკი თოფჩიშვილი, რომელიც ამ ჟამად ზაქათალის ოლქის უფროსის თანაშემწედ არის.

⁂ **ჩვენს დუშელ მოამბეთ.** „ლომის ტყაოსანი“, სხვა უკეთესი სახელი ვერ მოგვიძებნია იმ დუშელ გმირისათვის, რომელიც აქოთქოთებ მთელს დუშეთის მაზრას და რომლის რაინდულ საქციელზედ დღე ყოველ ისეთი წერილები მოგვდის, რომ თმა ყალხზედ უხდება კაცს: ნუ თუ ეს არის კაცი, რომელიც უწმინდურის ხელით ეპოტინება ხოლმე საზოგადო საქმეებს; ეს არის კაცი, რომელიც ქურუმობასაც ეწევა ხოლმე ლიტერატურის წმიდა ტაძარში. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვანუგეშოთ ჩვენნი მოამბენი დუშეთიდამ მითი, რომ ბევრი აუტანიათ, ცოტაც მოიცადონ, ვიდრე მართლ-მსაჯულება თავის მსჯავრს დასდებდეს. მაშინ-კი ყველას აეხილება თვალი და იმედი გვაქვს ჩვენის საზოგადოებისა, რომ შესძლებს „ავს“ ავი უწოდოს და განდევნოს თავისის წრიდამ.

⁂ **ქ. ბათომი. საჯაგვი მეურმეების და მეეტლეების მამასახლისების არჩევანები.** თებერვლის 25-ს, ჩვეულებისამებრ, მოხდა სხდომა ქალაქის გამგეობის დარბაზში, სადაც უნდა ამოერჩიათ საჯაგვი მეურმეების (Староста ламовыхъ извощиковъ) და მეეტლეების მამასახლისები. აქ მეურმეების კრებამ ერთხმად ამოირჩია სიმონ მერკვილაძე. ეს პირი აგერ მეშვიდე ჯერ არის, რომ ამოირჩიეს და, სწორედ უნდა მოგახსენოთ, რომ დიდი გამოცდილი და მარჯვე კაცია ამ საქმეში. ყველანი დიდს პატივსა სცემენ, რისთვისაც ამორჩევის დროს, არც შარშან და არც ეხლა, კენჭი არ უყრიათ, ისე ერთხმად ამოირჩიეს. მეეტლეების მამასახლისად ამოირჩიეს ფილიპე ცაგურია, რომელიც აგრეთვე კარგა ხანია განაგებს ამ საქმეს.

⁂ **გ. სოჩა. ქათმების მოპარვა.** არც აქაური ქურდ-ბაცაცები ჩამორჩებიან სხვა ადგილების ქურდებს. აქამდის ცოტათი მოსვენებული ვიყავით აქაური მცხოვრებნი, რადგან დიდი ხანია არაფერი მოუპარავთ; მხოლოდ ახლა ქათმების პარვას მიჰყვეს ხელი და ისე ღამე არ გავა, რომ საქათმეს ქვეშ არ შეჰყონ თავი. გუშინაც ერთს აქაურს მცხოვრებს პ. ბოკუჩავას მოჰპარეს თორმეტი ქათამი, პატრონს-კი დაუტოვეს მარტო დედალ-მამალი. საგულისხმოა, რომ ქურდებს ჭკუა შეუსწავლიათ: წინად ქათმებს მამლიანად იპარავდნენ და შემდეგ პატრონიც თავს ანებებდა უმამლობის გამო ქათმების გაშენებას. ამ გარემოებით, ქურდებსაც მიეცათ ზარალი, რადგან შემდეგ აღარ ჰყავდათ ქათმები საპარავად. ეხლა-კი დაფიქრდნენ და პატრონებს გასაშენებლად მამლებს უტოვებენ.

სოჩელი.

⁂ **ქალ. გორი. მოსალოდნელი უბედურება.** მთელი ქვეყანა აალაპარაკა შავმა ჭირმა. ყველა შიშსა და საგონებელში ჩააგდო; გორი კი არხეინად წამოწოლილა მხარ-თეძოზედ და ფეხებზედ ჰკიდიათ შავი ჭირი, ხალხის ამოჟლეტა და სხვა. ერთად ერთი რიგიანი ქუჩა არის სამეფო ქუჩა და ისიც გაბინძურებულია, თორემ დანარჩენი ქუჩებისა რაღა უნდა მოგახსენოთ: სწორეთ გულის რევა მოგივათ, რომ გაიაროთ. მე საშინლათ მაკვირვებს აქაურების საქმე! შავი ჭირიც რომ არ მოდიოდეს, განა სისუფთავე არ არის საჭირო? გარწმუნებთ, რომ თუ ის ჭირი აქ გაჩნდა ქუდზედ კაცს არ დასტოვებს. იყო გაზეთში მოხსენებული, რომ ვითომც აქაური ქალაქის გამგეობა შეუდგა ქალაქის გასუფთავებასო, მაგრამ ეს ხმა დარჩა „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შიგან“. მობრძანდით და ნახეთ აქ, სადაც თვით გამგეობა არსებობს და მაშინ დარწმუნდებით, როგორის ენერგიით ეკიდებიან საქმეს ისინი, ვისიც მოვალეობაა. კიდევ ბევრი ითქმის აქაურებზედ, მაგრამ ბეჭდვითი სიტყვა არ მოქმედობს, ვიცი, ამაზედ, თორემ ცოტა-კი არ თქმულა და დაწერილა აქაურს ტალახსა და სიბინძურეზედ.

მომავალში ქ. გორს დიდი უბედურება მოელის მდ. ლიახვის გადამკიდე, თუ რიგიანათ არ შეუდგნენ მისი ნაპირების გამაგრებას. სამი თუ ოთხი დღე იქნება მას შემდეგ, რაც პატარა წვიმები იყო აქ და მდ. ლიახვიდგან გადმონახეთქი პატარა რუ სამეფო ქუჩაზედ მოდიოდა და თუ დიდი ნიაღვრები მოასკდა, მაშინ რა ვქნათ. ამბობენ, ლიახვი წინად შუა ქალაქში მოდიოდაო და, კარგათ მოგეხსენებათ, წყალი თავის გზას არ დასტოვებს.

სტუმარი გორში.

გამოცანები

წვერ-ულვაშიან ყმაწვილებისათვის.

1. ეხლანდელი ტფილისის საბჭოს ხმოსნები სულ ერთიანად რომ გადავადნოთ, გამოვა თუ არა ერთი იმისთანა კაცი, რომ ოდნავ მაინც გული შესტკივოდეს ქალაქის ყველა მკვიდრთათვის?

2. თელავის მოურავი, ბ-ნი თათუზოვი და მეაფთიაკე თათუზოვი, რომ ამხანაგებად გახდნენ, ხელს შეუწყობენ თუ არა ქალაქის უსუფთაობით შავი ჭირის გამძვინვარებას?

3. თუ სათავად-აზნაურო ბანკში მამულის დაგირავება მოგიხდათ და საქმის საწარმოებლად ერთ-ერთს იმ ურიცხვ „აბრუკატს“ მიმართეთ, რომელნიც იქვე ბანკის კარებთან ჭიაღუასავით ირევიან და „შრომისათვის“ პეც გამოგართვათ, რამდენ წელიწადს მოუნდებით ბანკიდგან სესხის აღებას და ან თვითონ „აბრუკატი“ თვალის დასანახავად შეგხვდებათ თუ არა თვენს სიცოცხლეში?

4. თუ დაუსრულებელი ქვეყნად არა არის რა, თუ ცის ქვეშეთზე ყოველივე წარმავალია და ასე წარმოიდგინეთ, თუ უძლიერესს მეფეს— სისულელე განსაზღვრული აქვს და მის გაკირულ-გაქვავებულ ფარფაშსაც ბოლო არა აქვს ხოლმე, აბა გამოიცანით, მოეღება თუ არა როდისმე ბოლო ჩვენებურს ბანკობანას და კენჭობანას?

5. ისეთი რა უბედურება უნდა ეწვიოს ზოგიერთს კუთხეს ჩვენის ქვეყნისას, რა ცეცხლმა უნდა გადაბუგოს, რა ზღვამ უნდა წალეკოს, რა საცოდაობა და ღვთის-რისხვა უნდა დატრიალდეს მის ქაჩალს თავზე, რომ ჯერ ჩვენებმა და მერე ჩვენმა მეზობლებმა ჯიბეს ხელი გაიკრან და ნამდვილად გაჭირვებულთ მიეშველონ?...

სასამართლოს მატიანე.

ნაფიცი ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის საქმე ბაქოში.

27 თებერვალს ბაქოს ოლქის სასამართლო შეუდგა ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის საქმის გარჩევას.

სასამართლოს დარბაზი სავსეა მაყურებლებით. ბევრი თვით სტაროსელსკის ნათესავ-ნაცნობებთაგანია და ბევრიც ბრალდებულთა მახლობელი. ყველა მოუთმენლად მოელის ამ საქმის დასკვნას.

ბრალდებული შვიდია: ორს ჰბრალდება სტაროსელსკის მოკვლა, ორს ამათი დახმარება და დანარჩენებს წაქეზება.

უკანასკნელ სამთ იცავენ პეტერბურგელი ნაფიცი ვექილნი: მირონოვი, კუპერნიკი და კარაბჩევსკი.

საბრალდებულო ოქმიდამ სჩანს, რომ 1895 წ. 14 ნოემბერს ს. დ. სტაროსელსკი, ღამის 1 საათზედ, სხვა მის ნაცნობებთან ერთად გამოსულა კლუბის დარბაზიდამ, გამოთხოვებია ნაცნობებს, ჩამჯდარა ეტლში № 176 და სახლისაკენ გამგზავრებულა; სახლის კარებთან, სურახანის ქუჩაზედ, ეტლიდამ გადმომხტარა და სწორედ იმ დროს, როდესაც მეეტლეს ფულს აძლევდა სტაროსელსკი, ქუჩის ბნელი კუთხიდამ გამოსულა ორი თათარი, მიახლოვებიან ეტლს, პირდაპირ სტაროსტელსკისათვის ოთხჯერ დაუხლიათ რევოლვერი და საჩქაროთ იქვე მიმალულან. სტაროსელსკის იმ ღამესვე უთქვამს გამომძიებლისათვის, რომ ის თათრები ვერ ვიცანიო, მაგრამ ბეჯითად-კი ვიცი, რომ ისინი ზაბრათის მამასახლისმა მანაფ ჰაში-ოღლიმ და ბაქოს ქალაქის გამგეობის წევრმა, ბალა-ბეგ-ორუჯალი ბეგოვმა წააქეზეს ჩემს მოკვლაზედაო, რადგან ისინი ჩემი მტრები არიან და მაფრთხილებდნენ კიდეც ნაცნობები, რომ მოკვლას გიპირებენო.

ს. დ. სტაროსელსკი ჭრილობებისაგან მეორე დღეს, ნაშუადღევის 1 საათზედ გარდაიცვალა.

(შემდეგი იქნება)

რედაქციის პასუხები

რედაქციას თავის მოვალეობად მიაჩნია აუწყოს პატივცემულთ მოამბეთ და კორრესპონდენტებს, რომ ის წერილები, რომელნიც გაურჩეველის და გაურკვეველის ხელით იქმნებიან დაწერილნი, სრულიადაც არ იქმნებიან წაკითხულნი და ჰპოვებენ ადგილს, ნაცვლად გაზეთის ფურცლებისა, სარედაქციო კალათაში. გარდა ამისა, რედაქცია უმორჩილესად სთხოვს მოამბეთ, ნაწერში გვერდზე ცარიელი ადგილი დასტოვონ ხოლმე, რომ შესწორება და ჩამატება შეიძლებოდეს. უსახელო წერილები არ მიიღება, რედაქციამ თვით, უეჭველად, უნდა იცოდეს მოამბის ვინაობა და ადრესი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Марта 1897 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.